# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველ-დღიური გამოცემა.— კვირა, 30 ივლისი 1900 წ. № 1196

**გაზეთი ღირს:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели“—„Моамбе“.

**ტელეფონი № 372.**



## „მოამბე“ 1900 წ. „ცნობის ფურცელი“

| (წელიწადი მეშვიდე) | (წელიწადი მეხუთე) |
| --- | --- |
| **გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში.** | **გამოვა ყოველ დღე კვირა უქმეების შემდეგაც.** |
| ფასი ჟურნალისა გაგზავნით: | გაზეთის ფასი გაგზავნით: |
| 1 წლით 6 თვით 3 თვით | 1 წლით 6 თვით 3 თვით 1 თვით |
| 10 მანეთი 6 მან. 4 მან. | 6 მანეთი 3 მ. 50 კ. 2 მანეთი 75 კაპ |
| სამზღვარ გარედ წლიურად 13 მან. | სამზღვარ გარედ წლიურად 7 მანეთი. |

**წლიური ფასის შემოტანა შეიძლება განაწილდეს:**

| | |
| --- | --- |
| პირველად 5 მან., 1-ლ აპრილამდე 3 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 2 მ. | პირველად 3 მან., 1-ლ აპრილამდე 2 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 1 მ. |

**ვინც „მოამბე“-ს ერთისწლით გამოიწერს, „ცნობის ფურცელი“ უფასოდ დაეთმობა გამოწერის დღიდან**

**წლიური ფასი განაწილდება: 5 მან. პირველად, 1-ლ აპრილამდე 3 მან. და 1-ლ ოქტომბრამდე 2 მანეთი**

| | |
| --- | --- |
| **ჟურნალში ყოველ თვე დაიბეჭდება, სხვათა შორის, შინაური და უცხოეთის მიმოხილვა.** | **გაზეთში იმავე დღესვე დაიბეჭდება დეპეშები, ქრონიკა (ახალი ამბავი) და სხვ.** |

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტრიქონი 10 კ. მეოთხეზე—5 კ.

**თუ განცხადება 3-ჯერზე მეტი დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ღირება.**

ადრესი რედაქციისა: Тифлисъ, въ редакцію „Моамбэ“ и „Цнобисъ-Пурцели“.

ვაუწყებთ მკითხველ საზოგადოებას, რომ გაზეთ

## „ცნობის ფურცლის“

დაბარება **თვიურად** ან **მეტის ვადით** შეიძლება მხოლოდ თვის **პირველ** რიცხვიდან დამლევამდის.


## დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**27 ივლისი**

**პეტერბურგი.** პორტ-არტურიდან იტყობინებიან, რომ პოლკოვნიკი ხორუნჟენკოვი 19 ივლისს გაელაშქრა გაიჯოუს წინააღმდეგ. ჩინელები ნელ-ნელა იწევდნენ უკან, მაგრამ როდესაც მიიღეს ცნობა ინკოუსის რაზმის მოახლოვების შესახებ, მაშინვე გაიქცნენ. ჩინელებს წაართვეს: 12 ძველი ზარბაზანი, ბევრი თოფი და პატრონა, ტყვია-წამალი და დიდძალი სურსათი. პეკინისაკენ და ტიანცზინისაკენ მიდიან ხუნან-ხუბეის პროვინციიდან 20,000 ჩინელი ჯარის-კაცი.

გამოცხადდა უმაღლესი ბრძანება სახელმწიფო 4% რენტის სამის ახალის სერიების, 227-დან 229-მდე, გამოცემის შესახებ; რენტა გამოიცემა 30 მილ. მანეთისა მოსკოვ-არხანგელსკის რკინის გზის ვალამდე გამოსყიდვისათვის.

**ბუდა-პეშტი.** „პესტერ ლოიდი“ დიდ მნიშვნელობას აძლევს გრაფ ლამსდორფის დანიშვნას რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრად და ამბობს, ეს გარემოება გვიჩვენებსო, რომ ლამსდორფის დიდი დიპლომატიური ღვაწლი ღირსეულად იქმნა დაფასებული იმპერატორისაგანაო. გარდა ამისა ეს გარემოება იმის მაჩვენებელიაო, ამბობს გაზეთი, რომ რუსეთის გარეშე პოლიტიკა უცვლელად იწარმოება ლამსდორფის დროს ისე, როგორც მურავიოვისა და ლობანოვის დროს იყო, თანახმად ხელმწიფე იმპერატორის განზრახვათა.

**პრეტორია.** აღმოჩენილ იქმნა შეთქმულება, რომელსაც საგნად ჰქონდა დაეხოცა პრეტორიაში მყოფი ინგლისელი ოფიცრები და ტყვედ წაეყვანა რობერტსი. დატუსაღებულია ათი შეთქმული.

**ლონდონი.** მიღებულ იქმნა დეპეშა რობერტ გარტისაგან 14 ივლისს, რომელიც იწყება ამ სიტყვებით: „საბედნიეროდ, მე ჯერ ცოცხალი ვარ“. დეპეშიდან სჩანს, რომ სადამოჟნო უწყება ისევ გარტის ხელშია.

**ვაშინგტონი.** შეერთებულმა შტატებმა მისწერეს ჩინეთის მთავრობას, რომ ჩინეთის ჯარებს აღეკრძალოს საელჩოებზე თავდასხმა და სთხოვს მთავრობას, ნიშნად მეგობრულის განწყობილებისა, იმოქმედოს ერთად ევროპიელ შეერთებულ ჯარებთან წესიერების აღსადგენად. ამერიკის მთავრობა წინააღმდეგია ელჩების პეკინიდან გამოყვანისა, რადგანაც, თუ მთავრობას პეკინში ვერ მოუხერხებია ელჩების დაცვა, გზაში მით უმეტეს საძნელო იქმნება მისთვის ეს საქმე.

**ბერლინი.** როგორც ამბობენ, გერმანიის ჯარის გასაძლიერებლად ჩინეთში გაიგზავნება 5000 ზედ ცოტა ნაკლები ჯარის კაცი. ეს რიცხვი უკვე შეასრულეს ვოლონტიერებმა. ის ხმა კი, ვითომც ჩინეთში გაიგზავნება 20 ათასი კაციო, ტყუილია.

**ჩიფუ, 26 ივლისს.** შეერთებულმა ჯარებმა ორშაბათს დილით გაილაშქრეს იანცზუნზე, რომელსაც იცავდნენ 15,000 ჩინელი. ოთხის საათის სასტიკის ბრძოლის შემდეგ ჩინელები უკუქცეულ იქმნენ; შეერთებულ ჯარებს მოუკლეს და დაუჭრეს 3322 კაცი.

**შანჰაი.** ამას წინად ჩქილის სამხრეთით მოუკლავთ მეამბოხეთ 6 ფრანგი მღვდელი. საფრანგეთს აზრადა აქვს გადმოსვას შანჰაიში 1200 ჯარის კაცი.

პეკინიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ ქვრივმა დედოფალმა 15 ივლისს ელჩებს გაუგზავნა ოთხი ფურგონი, სურსათით დატვირთულიო.

**შანჰაი.** აქაურმა ჩინელმა ვაჭრებმა მიჰმართეს თხოვნითუ ცხოსახელმწიფოთა წარმომადგენელთ ნულარ მოიყვანთ შანჰაიში ჯარებსაო, რადგანაც ეს გარეობა ჩინელთ თავსზარს დასცემსო.

როგორც ამბობენ, 2500 ჯარის-კაცს უპირებენ გადასმას შანჰაიში.

ერთი მანდარინი ამბობს, რომ ლიპინხენი 15,000 კარგათ გაწრთვნილ ჯარის-კაცებით მიდის ინცზუნში წინააღმდეგ მოკავშირეთა ჯარებისა.

**ბერლინი.** აღკრძალულია იარაღის გატანა ჩინეთში.

**ვაშინგტონი.** შანდუნის გუბერტორმა შეატყობინა ამერიკის კონსულს ჩიფუში, რომ არა თუ ელჩების შიფრით დაწერილს დეპეშებს გადასცემენ კონსულებს, არამედ თვით დეპეშების ორიგინალებსაც წარუდგენენ მათ დასამტკიცებლად მათის სინამდვილისა.

---

### სატახტო ქალაქის გაზეთების დეპეშები

∝ გენერალ-გუბერნატორს დუხოვსკის და გენერალ ივანოვის უკანასკნელი დეპეშები ტაშკენტიდან იტყობინებიან, რომ კულჯაში, რომელიც უმთავრესი ცენტრია რუსეთის მოსაზღვრე ადგილებში (ჯუნგარიისა და აღმოსავლეთ თურქესტანის გასწვრივ), გარეგნად მშვიდობიანობაა; ნამდვილად კი, ახალ სუიდუნში ამზადებენ ზარბაზნების დასადგამ ადგილებს. ძველ სუიდუნში (რუსეთის საზღვართან არის) რუსები შეშინებულნი არიან და ამასთანავე რუსეთის რაზმის უფროსი კულჯაში იტყობინება, რომ იქ მღელვარება ეტყობა ჩინელებს. გენერალ ქაგოლინს გაუგია, რომ ხაზინის საწყობებიდან ჯარებს სურსათი დაურიგეს; დამზადებულია 10,000 შუბი, რომელნიც ხალხს უნდა დაურიგდეს. ჩინეთის მმართველები კი ყოველ დღე დადიან რუსის კონსულთან კულჯაში და დიდს მეგობრობას უცხადებენ მას, თუმცა ლაპარაკის დროს მეტად ფრთხილად არიან. მთელ ჩინეთში ყოველ 300 კაცზე ერთი ჯარის კაცი მოდის, აქ კი ერთი ჯარის კაცი მოდის 45-ზე. უკანასკნელ წლებში ჩინეთის მთავრობა ერთობ სცდილობდა აქ არტილერიის გაძლიერებას და ჯარის მაღალ ხარისხზე დაყენებას. 1894 წელში, როცა პამირის შესახებ უსიამოვნება ჩამოვარდა, მთავრობას გამო-

უგზავნია აქ 30 კრუპის დიდი ზარბაზანი, 28 სამთო ზარბაზანი, 16—ნორდენფელდის და 15,000 მაგაზინის სისტემის თოფი; თან ლიხუნ-ჩანგის ჯარიდან ინსტრუქტორები მოიყვანეს; ურუმჩში შეუდგნენ თოფხანისა და პატრონების ქარხნების შენებას. პროვინციის უმთავრეს ცენტრებში—ურუმჩიში, კულჯაში და ტარბაგატაიში დააწესეს ჯარების რეორგანიზიისთვის განსაკუთრებული კომისიები. ამ სამხედრო მზადებასთან ერთად ტელეგრაფიც გაიყვანეს, ასე რომ ეს მხარე შეერთებულია ცენტრთან.

ყველა ეს ღონისძიება იმის მაჩვენებელია, რომ ჩინეთი ემზადებოდა საომრად, მიუხედავად იმისა რომ რუსეთის მხრივ საიერიშო განზრახვებს ვერ ჰხედავდნენ.

ეხლანდელი ჩინელი დედოფალი სულ უბრალო ჩამომავლობისაა. იგი დაიბადა მანჩჟურიის ერთ პატარა სოფელში და, რასაკვირველია, არავინ არ ფიქრობდა მაშინ, რომ პაწია ტსა როდესმე მთელ კაცობრიობის მეოთხედის მბრძანებელი შეიქმნებოდა. მისმა მახვილმა გონებამ და ჩინური გემოვნების სილამაზემ მიიქციეს კარის კაცების ყურადღება და ტსი-ჩი შეიქნა იმპერატორის გიენგ-ფენგის ხასა, იმ დროს როცა ჩინეთის მბრძანებელი ერთი აჯანყების გამო იძულებული იყო ეცხოვრა იეგოლში, მანჩჟურიაში.

22 აგვისტოს 1861 წელს გიენგფენგი მოკვდა და სამეფო დაუტოვა თავის ექვსი წლის შვილს—ტუნგშეს, რომელიც მას თავის ხასა ტსი-ჩიდან შეეძინა, თან რეგენტობა ჩააბარა, სანამ მემკვიდრე გაიზრდებოდა, რამდენიმე პრინცს, რომელიც ცნობილ იყვნენ, როგორც უკიდურესი კონსერვატორები და უცხოელების შეურიგებელი მტრები. სწორედ ამ დროს ოპიუმის გულისათვის ინგლისელებმა ომი გამოუცხადეს ჩინელებს, და რომ ეს რეგენტები დარჩენილიყვნენ, მანჯურიის დინასტიის საქმე ცუდად წავიდოდა. მაგრამ მოხდა სასახლის რევოლიუცია, რეგენტებმა შხამი დალიეს და იმპერიის მართვა-გამგეობა ჩაბარდა მემკვიდრის ბიძას კუნგს, ქვრივ-დედოფალს—ტსი-ანს და მემკვიდრის დედას—ტსი-ჩის.

პირველ წლებში ტსი-ჩის დიდი გავლენა არა ჰქონია; იგი ამ დროს სახელმწიფო საქმეებს სწავლობდა და რამოდენიმე წლის შემდეგ იგი პირველი იყო რეგენტებს შორის, რადგანაც კუნგი ძალაუნებურად დამორჩილდა ახალგაზდა ნიჭიერ და დიდი ენერგიის პატრონ ქალს და ქვრივი დედოფალი კი ტაძრების აშენებისა და ქველმოქმედების მეტზე არასა ფიქრობდა.

ამ გვარად 30 წლის განმავლობაში თუ რამე გაკეთებულა ჩინეთში, ეს ტსი-ჩის მოღვაწეობის შედეგია. 1873-ში ტუნგ-შე სრულწლოვანი შეიქნა და სცადა მართველობის ხელში ჩაგდება, მაგრამ ვერა გააწყო-რა. 1875-ში ტუნგ-შე სასიკვდილოდ ავად გახდა; ტსი-შის შეეშინდა თავისი მდგომარეობის გამოკვლისა, რადგანაც იმპერატორს მემკვიდრე არ ჰყავდა, და მოახდინა სასახლის მეორე რევოლიუცია. მან საიდუმლოდ მოიწვია ტიანცზინიდან ლიხუნჩანგი, რომელიც ჩუმად ღამით შემოვიდა პეკინში 4000 ევროპიულად გაწვრთნილ ჯარის-კაცით, იარაღი აჰყარა სატახტო ქალაქის მეციხოვნეთ და დაატუსაღა პრინცები და მათი მომხრეები, რომელნიც მოუთმენლად ელოდნენ ტუნგ-შეს სიკვდილს, რათა წაერთმიათ ქვეყნის მათთვა-გამგეობა ტსი-ჩისათვის. 12 იანვარს მოკვდა ტუნგ-შე და მეფედ გამოაცხადეს 4 წლის კვანგსი გარდაცვლილი იმპერატორის ძმისწული. სასახლის რევოლიუცია უცბად მოხდა და არც სისხლი დაღვრილა. მთელი სახელმწიფოს მართვა-გამგეობა ტსი-ჩის ხელში იყო; მას მხარს აძლევდა მისი ერთგული და მასავით მტკიცე ხასიათის პატრონი ლიხუნჩანგი.

1881-ში მოკვდა ქვრივი დედოფალი და ტსი-ჩიმ მიითვისა ეს ტიტული: ეხლა იგი შეიქმნა ქვრივი დედოფალი. ეხლა კიდევ უფრო მეტის ენერგიით შეუდგა ტრი-ჩი მართვა-გამგეობის საქმეს და თავის საქმეში ჩარევით ცუდ გუნებაზე მოჰყავდა ძველ ჩვეულების მიმდევარი ცენზორები და მინისტრები სხვა-დასხვა ჩინეთისათვის არა სასიამოვნო მიზეზების გამო იგი უფრო და უფრო ულებდა თავის კარებს უცხოელებს, და ტსი-ჩი არ უფრთხის ამას, ისე როგორც არ უფრთხის სასახლის ეტიკეტის დარღვევას.

1888-ში იმპერატორი სრულწლოვანი შეიქნა და მართვა-გამგეობაც მის ხელში უნდა გადასულიყო. კვანგსი ოფიციალურად ავიდა ტახტზე და მადლობის რესკრიპტი მისწერა დედოფალს და თანაც აცხადებდა იმედს, რომ იგი არ მოაკლებს თავის ბრძნულ რჩევას. გულში კი იმპერატორი სულ სხვას ფიქრობდა: იგი საიდუმლო მიმდევარი იყო იმ პატარა წრისა, რომელიც ჩინგ-სიუ-იუის გარშემო იკრიბებოდა და რომელსაც „ახალგაზდა ჩინეთს“ ეძახიან.

კანგ-იუ-ვეი, ხანლანის აკადემიის წევრი, ითვლება ამ „ახალგაზდა ჩინეთის“ ორგანიზატორად. ჩინეთ-იაპონიის ომის შემდეგ გადასწყვიტა, რომ დადგა დრო ჩინეთის განახლებისაო, და შეუდგა ისეთი საზოგადოების შედგენას, რომელსაც ეს განახლება ექნებოდა მიზნად. 1895 წლის ივლისში დაარსდა საზოგადოება, რომელმაც საკუთარი ორგანოც გაიჩინა, პირველ ნომერშივე დაიბეჭდა მეფის მოადგილის შანგ-ში-დუნგის წერილი, რომელშიაც გამოთქმული იყო ახალი საზოგადოების profession de foi: „საზოგადოების წევრები ყოველი ღონისძიებით უნდა სცდილობდნენ, რათა რიცხვით უდიდესმა რასამ—ჩინეთის ერმა განათლებით და განვითარებით დაიკავოს ქვეყანაზე პირველი ადგილი. უკანასკნელ საუკუნოების განმავლობაში ბევრი მხარეებით გაასწრეს ჩინელებს, ამიტომ უნდა გადმოვთარგმნოთ ევროპის სამეცნიერო წიგნები. ზნეობრივი საფუძველი საზოგადოებისა კონფუციალიისმი უნდა იქნეს“.

ჩინეთის განათლებულ ახალგაზდობაში მოდა შეიქნა ამ საზოგადოების წევრობა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ხანლანის აკადემიის წევრები და ზოგიერთი დიდი გვარის ოჯახები შეუერთდნენ ამ დასს.

რადგანაც საზოგადოება საჯაროდ აცხადებდა სახელმწიფო და სოციალური წესწყობილების ძირითად რეფორმის აუცილებლობაზე, კონსერვატორებმა იმპერატორს შეასმინეს, რომ ახალი საზოგადოება რევოლიუციონურია და სამეფო ტახტის წინააღმდეგ მოქმედებსო. იმპერატორმა 1895 წლის დეკემბერში დახურა ეს საზოგადოება. 1896 წლის ახალ წლის მიღების დროს, ზოგიერთმა მინისტრებმა მოახსენეს იმპერატორს, რომ დახურული საზოგადოების წევრები ტახტის ერთგული ქვეშევრდომები არიანო. ამავე წლის თებერვალს გამოვიდა იმპერატორის ახალი ბრძანება, რომლის თანახმადაც საზოგადოებას შეეძლო დაეწყო ისევ მოქმედება. საზოგადოების თავმჯდომარედ დაინიშნა იმპერატორის მასწავლებელი და მეგობარი სუნ-შია-ძია.

საზოგადოების მოქმედების სფერა თან და თან ვრცელდებოდა; დაარსდა რამდენიმე განყოფილება დიდ ქალაქებში; შანჰაიში განყოფილება დაარსდა ინგლისის ფაქტორიაში, და რადგანაც ჩინელი მოხელენი აქ ვერას გააწყობდნენ, იქაურ გაზეთში უფრო თამამად სწერდნენ ჩინეთის ნაკლულევანებათა წინააღმდეგ.

როგორც სჩანდა, იმპერატორი თანაგრძნობით უცქეროდა საზოგადოების მოქმედებას. ჩინეთის კარგა მცოდნე პირები ამბობენ, რომ იმპერატორი ნიჭიერი კაცია და ევროპის გარემოებასაც კარგად იცნობს, რადგანაც პოლიტიკას თვალყურს ადევნებს ინგლისური გაზეთების საშუალებით.

საზოგადოების დახმარებით 18 98 წელში კვანგ-სიუმ მოიშორა დედოფალი, გააგდო პეკინიდგან ლიხუნგჩანგი და გამოსცა მთელი რიგი ბრძანებებისა, რომელთა საშუალებითაც უნდა მომხდარიყო რამდენიმე რეფორმა; მაგრამ ჩინეთის ახალგაზდა პარტია ჯერ კიდევ სუსტი გამოდგა. დედოფალმა და ლიხუნგჩანგმა თავიანთი გაიტანეს. სიმართლეს არ უნდა იყოს მოკლებული, რომ „მოკრივეთა“ მოძრაობა, კონსერვატორების ჩაგონებით, მიმართულია როგორც უცხოელების, ისე „ახალგაზდა ჩინეთის“ წინააღმდეგაც.

როგორც უნდა იყოს, დედოფალი ეხლა 65 წლისაა, ეგრედ წოდებული „ჩინეთის რკინის კანცლერი“ 76 წლისა, და რაც შეეხება ჩინელ რეფორმატორების იმედებს, აი რას ამბობს ამის შესახებ მარკიზ ტსენსი: „ასაჩქარებელი მაინცა და მაინც არა გვიჭირს-რა; მეორედ მოსვლამდე ჯერ კიდევ დიდი დრო დარჩა. ჩინელები კიდევ მოასწრობენ თავიანთ შესაფერი ადგილი დაიკავონ სხვა ერებთა შორის... 50 წლის შემდეგ ევროპა ომს იმიტომ კი არ გამოგვიცხადებს, რომ ჩვენ საკმარისად არ ვსარგებლობთ ორთქლითა და ელექტრონით, არამედ იმიტომ, რომ ამ ხნის განმავლობაში ჩვენ საკმარისად განვავითარებთ ჩვენ ევროვნულ მრეწველობას“.

## ახალი ამბავი

✦ საექიმო და სასანიტარო რჩევის უკანასკნელ სხდომაზედ საჭიროდ უცვნიათ იყოლიონ განსაკუთრებული ექიმი ავჭალაში წყლის მილზე მოსამსახურეთათვის, რადგანაც ქალაქის ექიმებს არ შეუძლიანთ ავჭალაში სიარული. ექიმის თვიური ჯამაგირი იქნება 60 მანეთი; მან ყოველ-კვირა დანიშნულ დღეს უნდა იაროს ავჭალაში; გარდა ამისა იგი მოვალე იქნება წავიდეს განსაკუთრებულ შემთხვევაშიაც, როცა მას გამოიწვევენ.

✦ გუშინ-წინ ავლაბრის ნაწილის ექიმს ბ. გძელიშვილს დაუთვალიერებია ოსმალეთიდან გადმოსახლებულ სომხების სადგომები ავლაბარში და აღმოუჩენია, რომ ეს სადგომები და მათი მცხოვრებლები თავიანთი ტანისამოსით სანიტარულ ელემენტარულ პირო-

ზებს სრულად უარს-ყოფენ. ამიტომ ექიმს შუამდგომლობა აღუძრავს გამგეობის წინაშე, რათა დახმარება აღმოუჩინონ გადმოსახლებულებს ფულით (150 მ.) ტანისამოსის და საგების შესაძენად და აბანოების ბილეთების დარიგებით.

✦ ქალაქის სამკურნალო სასანიტარო ინსპექტორმა ბ-ნმა სტეფანოვმა განცხადება შეიტანა ქალაქის გამგეობაში, რომლითაც იგი ატყობინებს გამგეობას, რომ ქალაქის საყასბოს გადასაკეთებლად საალმშენებლო განყოფილების მიერ ხარჯთაღრიცხვის შედგენის დროს საჭიროა სახეში გექმნეთ საყასბოსთან გამართული საკლავ საქონლის ბაკის გაუმჯობესება, რომელიც ეხლა მეტად უვარგისს მდგომარეობაშია.

✦ ბელგიის უსახელო საზოგადოების დირექტორის მოადგილემ ბ-ნმა ბლომომ სთხოვა ქალაქის გამგეობას, ნება მომეცით, თანახმად ამ 1900 წლის 14 მარტის ხელშეკრულობისა, რიყის ქუჩაზე ცხენის რკინის გზის დაძველებული რელსები ახალის ღარიანი (желобчатые) რელსებით შევსცვალოო, რაც ხელს შეუწყობს ამ ქუჩის რიგიანად მოკირწყვლის საქმესაო.

✦ როგორც შევიტყეთ, კავკასიის საიმპერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბაღოსნო სასწავლებლის მასწავლებელი ბ-ნი ტურჩინსკი სამსახურს თურმე თავს ანებებს; მის ადგილს თხოულობს ახალციხის სამოქალაქო სასწავლებლის საბაღოსნო ნაწილის მასწავლებელი ბ. არჩილ სტეფანეს ძე დარეჯანაშვილი.

✦ როგორც ისმის, ტფილისის პოლიცმეისტერის თანამდებობის აღმასრულებელს აღუძრავს კითხვა შესახებ საჯაშუშო განყოფილების დაარსებისა ტფილისის პოლიციასთან.

✦ როგორც იტყობინებიან, წელს თელავისაკენ, როგორც ჩვენი ქვეყნის სხვა კუთხეებშიაც, ხშირია წვიმები, რის გამოც ვენახება დაზარალებულა. პურის მოსავალი გვარიანია, მკა კიდეც გათავებულა, მაგრამ გალეწვა, იმავე წვიმების გამო, გვიანდება. მიუხედავათ ამ კარგი მოსავლისა, ფასები არ დაწეულა შარშანდელი მოუსავლობის გამო. ბევრ შარშან დაზარალებულ სოფლებიდან ეხლაც მოდიან თელავში გამომცხვარი პურის სასყიდლად.

✦ კახეთიდან გვწერენ: „არ იქნა და არ ელირსა კახეთს ისეთი წელიწადი, რომ მას წლის გასულ წყევლა-კრულვით არ იხსენიებდნენ. ძნელად იქნება ისეთი წელიწადი, რომ სეტყვამ უნახავად გაუშვას კახეთი. წელს, მართლა, სეტყვას იმდენი არა დაუშავებიარა, თუმცა ზოგიერთ სოფლები მაინც დააზარალა. სამაგიეროდ მეორე დიდი უბედურება გვეწვია: ეს უბედურება გახლავთ საქონლის ჭირი, რომელიც ეს ერთი კვირაა მძვინვარებს კახეთის ზოგიერთ სოფლებში და უფრო კი კალაურში, ვაჩნაძიანში, კარაჯალში და გომბორზე. ახლო-მახლო სოფლებშიაც ნელ-ნელა იპარება. კალაჯარში ჯერ ისე ხდებოდა ავად საქონელი და ზოგიერთი მათგანი რჩებოდა კიდეც, მაგრამ მერე უცბად მოედო საქონელს და მუსრი გაავლო; თუმცა ადმინისტრაციის მიერ საჭირო ღონისძიებანი იქმნა მიღებული და მარტო ამ სოფელში 4 ბეითალია, მაგრამ აქამდე ამ სოფელს დააკლდა 100—120 სული საქონელი და დღე-დღეზე კიდევ იხოცება ხუთობით და ათობით. ამისთანა დასაკლისი კი, ადვილი გასაგებია, რა ზარალსაც მოუტანს გლეხკაცის ოჯახს.

✦ დ. საჩხერიდან (შორაპნის მაზრა) გვატყობინებენ, რომ იქ წელს კარგ მოსავალი ყოფილა პურისა წინა წლებთან შედარებით: კარგს მოსავალს მოელიან აგრეთვე სიმინდისას და ვენახისაგანაც, თუ ამინდებმა არ უმუხთლათ. როგორც გვატყობინებენ, სოფლებ ჩიხასა, არგვეთსა, ივანწმინდასა და მათ ახლო-მახლო სოფლებში გავრცელებულია ყელჩირვება, რომელმაც ჯერ-ჯერობით სამი კაციც იმსხვერპლა. არა ნაკლებ შეწუხებულია თურმე ზოგიერთი იქაური სოფლის მცხოვრებნი სხვილფეხი პირუტყვის ერთგვარი ავადმყოფობით ესრედ წოდებულ „ხუზარა“-თი, რომელიც ბევრს ზარალს აძლევს თურმე სოფლელთ.

✦ ტფილისის მაზრის, სოფელ დიდ ენაგეთში მომხდარა საზარელი და შემაძრწუნებელი მკვლელობა: ლევან დ—შვილს, რომელსაც დედამ უსაყვედურა, ცუდად რად ეკიდები საქონელსაო, კეტი დაურტყამს დედისათვის თავში და იქვე მოუკლავს.

✦ რედაქციამ მიიღო ახლად-გამოცემული წიგნაკი „ოცი წლის წინად, ძველი ნამამასახლისარის ნაამბობი, მოთხრობა გ. წერეთლისა“. წიგნაკში 25 გვერდია და ღირს ერთი შაური. ეს მოთხრობა გაზ. „კვალში“ იბეჭდებოდა მეორეთ.

# საღამოს დეპეშები

**28 ივლისი**

**პეტერბურგი.** გამოცხადებულია უმაღლესი ბრძანება საერობო გარდასახადის რაოდენობის შესახებ იმ გუბერნიებში, რომლებშიაც შემოღებულია საგუბერნიო და სამაზრო დაწესებულება ბ ერობის ზოგიერთ გარდასახადისაგან განთავისუფლების შესახებ.

„პრავიტ. ვესტნიკ“-ში დაბეჭდილია, რომ 27 ივლისს გარეშე საქმეთა სამინისტრომ მიიღო პეკინში მყოფ საიმპერატორო ელჩისაგან დეპეშა, რომლითაც გირსი იუწყება, რომ ისინი ჯერ ისევ შემწყვდეულები არიან; მათ კიდევ ცოტაოდენი სურსათი აქვთ; ჩინეთის მთავრობამ წინადადება მისცა უცხოელთა წარმომადგენლებს,— გადასცეს მათ მთავრობებს დეპეშები და ამასთანავე აუცილებლად თხოულობს, რომ ისინი პეკინიდან გავიდნენ. ელჩებმა უპასუხეს, რომ უმაღლესის ბრძანებით გირსს ნება აქვს მისსის ყველა წევრებით და დესანტით წავიდეს ტიანცზინში, მხოლოდ იმ პირობით, თუ პეკინის მმართველობა და ბოგდიხანი დაიცავენ მათ ამ მოგზაურობის დროს. ამასთანავე გირსს ნაბძანები აქვს გააფრთხილოს პეკინის მთავრობა და განუმარტოს, რომ იგი პასუხის მგებელია, თუ ელჩებს დაუშვდებათ რამ.

**პარიჟი.** ვაშინგტონიდან, ლონდონიდან და ბრიუსელიდან მოვიდა დეპეშები, რომლებშიაც სწერია, რომ ამერიკელმა, ინგლისელმა და ბელგიელმა პეკინის ელჩებმა გამოუგზავნეს თავ-თავის მთავრობას შიფრიანი დეპეშები იმავე შინაარსისა, როგორიც იყო საფრანგეთის ელჩისა.

**იოკაჰამა.** ოფიციალურად. ზარალი იაპონელთა პეიძიანის ომში იყო 200 მოკლული და დაჭრილი.

**პეტერბურგის ბირჟა 28 ივლისს**

| | მყიდველისა. | გამყიდველისა | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მ ა | ნ ე | თ ი |
| 4°/₀ სახელმწიფო რენტა. . . . | — | — | 97 |
| $4^1/_2$°/₀ შინაგანი სესხი 1893 წ. | — | 100 | — |
| 4°/₀ გირავნ. ფურც. სახელ. სადგ.-მამ. ბანკისა. . | — | $97^3/_4$ | — |
| 5°/₀ 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.. | $317^1/_2$ | — | — |
| 5°/₀ მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.. | — | — | $269^1/_2$ |
| 5°/₀ გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. სადგ.-მამ. ბანკისა . . . . . | $206^1/_2$ | — | — |
| $3^1/_2$°/₀ გირავ. ფურ. იმავე ბანკისა. . | — | 89 | — |
| ტფილ. სადგ.-მამ. ბანკის 5°/₀ გირავნ. ფურცლ.. | — | — | — |
| $4^1/_2$°/₀ გირავნობ. ფურცლ. იმავე ბანკისა . . . . | — | — | $86^1/_2$ |
| ქუთ. სადგ.-მამ. ბანკის 6°/₀ გირ. ფურცლ. . . . | — | $101^1/_2$ | — |
| 5°/₀ გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა... | — | $98^1/_2$ | — |
| 5°/₀ ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ. . . | $97^3/_4$ | — | — |
| $4^1/_2$°/₀ ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა .. . . | — | 87 | — |

დრ. რედ. **ალ. ჯაბადარი**

# გამოსადეგი ცნობანი

**ნ ი ხ ი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ხორცი ძროხისა . | 1 | გ. | $8^1/_2$ კ. |
| სუკი . . . . . . | » | — | 15 კ. |
| » ცხვრისა . . . | » | — | $8^1/_2$ კ. |
| » ღორისა . . . | 1 | — | 8 კ. |
| » კამეჩისა » » | » | — | 8 კ. |
| » ღორის ბარკალი სალორჯეთი . | 1 | » | —10 კ. |

(ძროხისა და ცხვრის ხორცს იის ფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| შური ფუენისა | I ხარ. | 1 | გ. | 5 | კ. |
| » » | II | » | » | $3^1/_2$ | » |
| » » | III | » | » | 3 | » |
| იგივე თორნისა | I | » | » | 5 | » |
| » » | II | » | » | 4 | » |
| » » | III | » | » | $3^1/_2$ | » |
| ლავაში ჯკ. მამ. | I | » | » | 6 | « |
| » » | II | » | » | 4 | « |

**ტფილისის ბაზრები:**

გაიყიდა მეიდნებზე: კოგზალზე,

| | მ. | გ. | მ. | გ. |
|---|---|---|---|---|
| ხორბალი საუკ. ფუთი. | 1 | 1 | 30 | 1 20 |
| ხორ. წითელი. . . | 1 | 1 | 15 | — |
| ქერი . . . . . | 1 | 1 | 1—5 | — |
| სიმინდი . . . . | 1 | — | 80 | —— |
| ფქვილი სოფლისა . | 1 | 1 | 20 | —— |
| » უფრო მდარე. | 1 | 1 | 10 | —— |
| კომბოსტო. . . . | 1 | — | 30 | —— |
| კარტოფილი. . . . | 1 | — | 65 | —— |
| ხახვი . . . . . . | 1 | — | 10 | —— |
| თივა . . . . . . | 1 | — | 25 | —— |
| ბზე. . . . . . . . | 1 | — | 28 | —— |

შეშა რცხილისა 1 სრული საჟ. საწყობებში 38 მ., შეშა ნარევი 36 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 კ.-დან 4-მდე, ცხვარი თათრული 3 მ. კაპეიკიდან 4 მ. 60 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური საკლავი 22 მ.-დან 45 მ.-მდე, ხარი შესაბმელი, 40 მ. კამეჩი 60 მ. კამეჩი საკლავი 26 მ.-დამ 34 მ.

**საავადმყოფოები**

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო**, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში —12 მ. თვ. ცალკე ოთახში—60 მ. თვ.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა.

რჩევა 30 კაპ. ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხნოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:** **ავლაბრისა**, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

**ჩუღურეთისა**, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

**ხარფუხისა**, გორონცოვის ქუჩა, სახლი იედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

**თვალების სამკურნალო**, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა, ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

**ქალაქის საავადმყოფო სულით-ავადმყოფთათვის.** უფასო—იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ზაროვის ტიზენჰაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მექქსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში სახლი გოლდლიუსტისა.

---

**მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.**

(მატარებელთა მიმოსვლა განწესრიგებულია პეტერბურგის საათის თანახმად, რომელიც 58 წუთით უკან არის ტფილისის საათზე.)

**სწრაფი მატარებელი № 1** ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 11 ს. 19 წ.; ბათუმში ჩადის საღამოს 9 ს. 41 წ.

**სწრაფი მატარებელი № 2** ბათუმიდან ტფილისში გამოდის 11 ს. 18 წუთ. ღამ., ტფილისში მოდის დილის 9 ს. 30 წ.

**საფოსტო მატარებელი № 3** ბაქოდან ტფილისში გამოდის ღამის 11 ს. 29 წ., ტფილისში მოდის საღამოს 5 ს. 34 წ.; ტფილისიდან ბათუმში გადის საღამ. 6 ს. 34 წუთ., ბათუმში მიდის დილის 7 ს. 14 წ.

**მატარებელი № 4** ბათუმიდან ტფილისში გამოდის 7 საათ. 59 წ. საღ., ტფილისში მოდის 8 ს. 42 წ. დილით.; თბილისიდან ბაქოში გადის დილის 10 ს. 05 წ., ბაქოში მიდის ღამის 5 ს. 16 წ.

**საფოსტო მატარებელი № 74/75** ტფილისიდან ყარსში გადის საღამოს 9 ს., ყარსში ჩადის 12 ს. 56 წ. დღით.

**საფოსტო მატარებელი № 76/77** ყარსიდან ტფილისში გამოდის ნაშუადღ. 3 ს. 29 წ., ტფილისში მოდის დილის 7 ს. 15 წ.

**სახალხო მატარებელი № 5** ბაქოდან ტფილისში გამოდის ნაშუად. 4 ს. 01 წ. ტფილისში მოდის 8 ს. 53 წ. დილ.; ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 9 ს. 32 წ., ბათუმში ჩადის ღამის 9 ს. 01 წ.

**სახალხო მატარებელი № 6** ბათუმიდგან ტფილისში გამოდის დილ. 7 ს. 50 წ.; ტფილისში მოდის საღამოს 7 ს. 15 წ.; ტფილისიდან ბაქოში გადის საღამ. 7 ს. 45 წ., ბაქოში ჩადის შუაღ. 12 ს. 10 წ.

**მატარებელი № 7** ტფილისიდან ბორჯომში გადის დღისით 1 ს. 45 წ., ბორჯომში მიდის 6 ს. 50 წ. საღ.

**მატარებელი № 8** ბორჯომიდან ტფილისში გამოდის 12 ს. 30 წ. ღამ., ტფილისში მოდის დილის 6 ს. 20 წ.

სამტრედიიდან ფოთში სამი სახალხო მატარებელი გადის დღეში: პირველი—ღამის 4 ს. 10 წ., მეორე—დღის 11 ს. 20 წ., მესამე—საღამოს 7 საათ. 26 წ., ფოთში მოდის—პირველი 6 საათ. 19 წ. დილით, მეორე—1 ს. 29 წ. დღ. და მესამე—საღ. 9 ს. 42 წ.

ფოთიდან სამტრედიაში გადის ორი მატარებელი: პირველი—ღამის 12 ს. 52 წ., მეორე—8 ს. 49 წ. საღ.; სამტრედიაში მიდის პირველი 3 ს. 20 წ. ღამის, მეორე—11 ს. 04 წ. საღ.

**სახალხო მატარებელი № 33** რიონიდან ქუთაისს გადის დილის 9 ს.; ქუთაისში მიდის 9 ს. 25 წ.

**სააგარაკო მატარებელი № 15** ტფილისიდან მცხეთას გადის დილის 7 ს. 19 წ., მცხეთაში მიდის 8 ს.

**სააგარაკო მატარებელი № 16** მცხეთიდან ტფილისში გამოდის საღ. 9 ს., ტფილისში მოდის საღ. 9 ს. 38 წ.

**სააგარაკო მატარებელი № 18** გორიდან ტფილისში გამოდის საღ. 6 ს. 46 წ., ტფილისში მოდის 8 ს. 59 წ. საღ.

**სახალხო და საქონლის მატარებელი № 57** შორაპნიდან ჭიათურაში გადის ღამის 2 ს. 20 წ.. ჭიათურაში მიდის 5 ს. 12 წ. ღამ.

**სახალხო და საქონლის მატარებელი № 58** ჭიათურიდან შორაპანში გადის დილის 9 ს. 48 წ.; შორაპანში მიდის 12 ს. 40 წ. ღამ.

---

# განცხადებანი

**ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს**, რომ მის თანადასწრებით 2 აგვისტოს ამა 1900 წელს, შუადღის 12 საათზე, დანიშნულია ვაჭრობა ელისაბედის ქუჩის ქვით დაფენაზე საქალაქო სანერგე ბაღიდან დაწყებული დიდუბის ეკკლესიამდე, სულ ზომით 1021 ო. თხ-კუთხი საჟენი. საქმე სულ 3575 მანეთისაა.

ვისაც ჰსურს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, შეუძლიან განიხილოს დაწვრილებითი პირობები გამგეობის მესამე განყოფილებაში ყოველ-დღე დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათ. (ნ. 3—2)

---

**ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს**, რომ მის თანადასწრებით 2 აგვისტოს ამა 1900 წელს, შუადღის 12 საათზე, მოხდება ვაჭრობა ალექსანდრეს ბაღის გარშემო მოაჯირის შეკეთებაზე, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ქვის კედლები, ძირი მოაჯირისა და საძირკველი ხელ-ახლად გადაკეთდეს, დაიდგას ახალი სვეტები, შეიკრას რკინით მოაჯირი და შეიღებოს იგი. საქმე სულ 3,000 მანეთისაა.

ვისაც ჰსურს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, შეუძლიან განიხილოს დაწვრილებითი პირობები გამგეობის მესამე განყოფილებაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. (ნ. 3—2)

---

**ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს**, იმ პირთ, რომელთაც ქალაქის გამგეობაში თხოვნა მოიტანეს ქალაქის მიწების იჯარით აღების შესახებ, რომ, ქალაქის საბჭოს დადგენილების თანახმად, რომელიც მოხდა 12 ივნისს 1900 წელს, იჯარით გაცემულ იქნებიან ქალაქის მე-X ნაწილში, ლოტკის მთაზე, 47 ნაჭერი მიწა. იჯარით აღების ნება რიგ-რიგად მიეცემა ასე:

ა) გლეხთ, რომელნიც მიეწერენ ქალას და აგრეთვე სამსახურ შესრულებულ ჯარის კაცთ; ბ) დანარჩენ წოდების პირთ, რომელთაც ტფილისში უცხოვრიათ არა ნაკლებ 4 წლისა; გ) უცხოელთ, რომელთაც ტფილისში უცხოვრიათ არა ნაკლებ 10 წლისა.

ვისაც ჰსურს იჯარით აიღოს ხსენებული მიწა, უნდა წარმოადგინოს გამგეობაში საბუთები, რომელნიც ამტკიცებენ მის უპირატესობას ზემოდ აღნიშნულ პირობების მიხედვით, ამ წლის 10 აგვისტომდე. (ნ 3—2)

---

**ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს**, რომ ამა წლის 1-ლ აგვისტოს, 12 საათზე, მისი თანადასწრებით მოხდება საჯარო ვაჭრობა ერევნის მოედანზე მდებარე ქალაქის სახლის ფასადის შელესვისა, ორნამენტაციისა და შეღებვისა, სულ 1200 მანეთისა. ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველთ შეუძლიათ გასინჯონ პირობები გამგეობის მესამე განყოფილებაში ყოველ საქმის დღეს დილის 9 საათიდან 3-მდე. (ნ 3—2)

---

# დავკარგე

ხელის მაშინა № 14697978

მპოვნელს ვსთხოვ მოიტანოს ვანქის ქუჩაზედ, სახლი № 5, ჩობანიანცისა. ჯილდოთ 10 მანეთს მიიღებს.

---

გამომც. გ. ჯუნია

Дозволено цензурою. Тифлисъ, 29 Іюля 1900 г. სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ბ. განქის დიდი ქუჩა, № 27.